



9) რომელიმე რიცხვი ჯერ გაანახევრეს, შემდეგ მიღებულ რიცხვს მიუმატეს ერთი და მიიღეს ექვსი. რომელი რიცხვი გაუნახევრებიათ?

- 1) თორმეტი      2) ათი      3) ცამეტი      4) თოთხმეტი

10) რომელი ორნიშნა რიცხვი უნდა გამოვაკლოთ ორასს, რომ მივიღოთ სამი ერთნაირი ციფრით ჩაწერილი რიცხვი?

- 1) 89      2) 99      3) 111      4) 222

ამოცანები, რომლებიც 5 ბალით ფასდება



11) ზოოპარკში 57 ირემია, ზებრები კი ირემებზე 18-ით ნაკლებია, ხოლო სპილოები 76-ით ნაკლებია, ვიდრე ირემები და ზებრები ერთად. რამდენი სპილოა ზოოპარკში?

- 1) 10      2) 12      3) 20      4) 22

12) ტელევიზორი 50 ლარით გაიაფდა და ახლა 347 ლარი ღირს. რა ეღირებოდა ტელევიზორი, გაიაფების ნაცვლად 25 ლარით რომ გაძვირებულიყო?

- 1) 322 ლარი      2) 372 ლარი      3) 412 ლარი      4) 422 ლარი

13) ბავშვები ეზოში ორ-ორად მოეწყვნენ. მზია და ნინო გვერდიგვერდ დგანან. მათ წინ ოთხი წყვილი დგას, უკან კი – შვიდი წყვილი. რამდენი ბავშვი დგას ეზოში?

- 1) თერთმეტი      2) თორმეტი      3) ოცდაორი      4) ოცდაოთხი

14) ორი კილოგრამი მარწყვი 16 ლარი ღირდა, სამი კილოგრამი კომში კი – 12 ლარი. სააღდგომოდ ერთი კილოგრამი მარწყვისა და ერთი კილოგრამი კომშის ფასი განახევრდა. რამდენი უნდა გადავიხადოთ სააღდგომოდ ორ კილოგრამ მარწყვსა და ერთ კილოგრამ კომში ერთად?

- 1) 14 ლარი      2) 12 ლარი      3) 11 ლარი      4) 10 ლარი

15) ერთ ლარნაკში 7 გვირილაა, მეორეში – 4 გვირილით ნაკლებია, ვიდრე პირველში, ხოლო მესამეში კი – 3 გვირილით ნაკლებია, ვიდრე პირველში. ყველაზე ცოტა კიდევ რამდენი გვირილაა საჭირო, იმისათვის, რომ ყველა გვირილა 9 გოგონას თანაბრად გაეუნაწილოთ?

- 1) ხუთი      2) ოთხი      3) სამი      4) ერთი

ამოცანები, რომლებიც 7 ბალით ფასდება



16) გლეხმა გაყიდა რამდენიმე კილოგრამი ვაშლი, თითო კილოგრამი – 6 ლარად. მიღებული თანხით იყიდა 4 გოგრა, თითოეული 9 ლარად. ამის შემდეგ მას დარჩა 6 ლარი. რამდენი კილოგრამი ვაშლი გაუყიდა გლეხს?

- 1) 5 კილოგრამი      2) 6 კილოგრამი      3) 7 კილოგრამი      4) 8 კილოგრამი

17) სამ გალიაში ერთად 20 კურდღელია. პირველსა და მეორეში ერთად იმდენი კურდღელია, რამდენიც მესამეში. რამდენი კურდღელია მეორე გალიაში?

- 1) ხუთი      2) შვიდი      3) ათი      4) ამის გაგება შეუძლებელია

18) დაფაზე დაწერილი სამი ერთმანეთის მომდევნო ლუწი რიცხვი შეკრიბეს, ხოლო მიღებული ჯამი გაანახევრეს. რომელი სამი რიცხვი ეწერა დაფაზე, თუ განახევრების შედეგად მიიღეს 42?

1) 12, 14, 16

2) 24, 28, 32

3) 26, 28, 30

4) 24, 26, 28

19) ერთი ხიდან 18 კილოგრამი ატამი მოკრიფეს, მეორედან – 19 კილოგრამი, ხოლო მესამედან – 8 კილოგრამი. მოკრეფილი ხილი ხუთ ყუთში თანაბრად გაანაწილეს. რამდენი კილოგრამი ატამია თითოეულ ყუთში?

1) შვიდი

2) რვა

3) ცხრა

4) ათი

ამოცანები, რომლებიც 8 ბალით ფასდება



20) ერთი ბუნაგიდან 8 დათვი გამოძვრა, მეორედან – 6, ხოლო მესამედან – 4. ამის შემდეგ სამივე ბუნაგში ერთად დარჩა პირველი ბუნაგიდან გამოძვრულ დათვებზე ნაკლები და მეორე ბუნაგიდან გამოძვრულ დათვებზე მეტი დათვი. რამდენი დათვი იყო სამივე ბუნაგში ერთად თავდაპირველად?

1) 21 დათვი

2) 23 დათვი

3) 25 დათვი

4) 27 დათვი

21) მოცემული რიცხვებიდან: 25; 24; 14; 44; 37; 7; 28, რომელიღაც ორის ჯამი 5-ით მეტია ამ რიცხვებს შორის უდიდეს კენტ რიცხვზე. რომელია ეს ორი რიცხვი?

1) 25 და 24

2) 24 და 28

3) 14 და 28

4) 25 და 7

22) კალათბურთის თამაშის დროს ერთმა მოთამაშემ 24 ქულა მოაგროვა, მეორემ – 7-ით მეტი ვიდრე პირველმა, მესამემ 28-ით ნაკლები ვიდრე პირველმა და მეორემ ერთად. კიდევ რამდენი ქულა უნდა მოაგროვოს სამივე მოთამაშემ ერთად, რომ მათი მოგროვებული ქულების ჯამი იყოს 100?

1) 8 ქულა

2) 18 ქულა

3) 22 ქულა

4) 42 ქულა

23) ბექას და მიშას ერთად იმდენი ლარი აქვთ, რამდენიც მინდიას და ირაკლის ერთად. ბექას 32 ლარი აქვს, მინდიას – 8 ლარით მეტი აქვს, ვიდრე ბექას, ხოლო მიშას 5 ლარით ნაკლები აქვს, ვიდრე მინდიას. რამდენი ლარი აქვს ირაკლის?

1) 17 ლარი

2) 27 ლარი

3) 37 ლარი

4) 47 ლარი

ამოცანები, რომლებიც 10 ბალით ფასდება



24) ერთ ქუჩაზე განლაგებულია სახლი, კინო, მაღაზია და თეატრი (ამავე თანმიმდევრობით). სახლიდან კინომდე 8 კილომეტრია, კინოდან მაღაზიამდე – 3, ხოლო მაღაზიიდან თეატრამდე 5. სულ რამდენი კილომეტრი უნდა გავიაროთ კინოდან რომ მივიდეთ თეატრში და თეატრიდან სახლში?

1) თექვსმეტი

2) თხუთმეტი

3) ოცდასამი

4) ოცდაათხი

25) მოსწავლემ ექსკურსიაზე 17 ლარი წაიღო. მან გზაში საჩუქარი იყიდა. თუ გავაორმაგებთ იმ თანხას, რომელიც მოსწავლეს საჩუქრის ყიდვის შემდეგ დარჩა, მივიღებთ 28 ლარს. რამდენი ლარი გადაუხდია მოსწავლეს საჩუქარში?

1) 14 ლარი

2) 11 ლარი

3) 4 ლარი

4) 3 ლარი

26) დილით მეპურემ 14 პური გამოაცხო. შუადღისას მეპურემ კიდევ რამდენიმე პური გამოაცხო. საღამოს გაიყიდა დილით და შუადღისას გამომცხვარი პურების ნახევარი. რამდენი პური გამოუცხვია მეპურეს შუადღისას, თუ საღამოს 9 პური გაიყიდა?

1) 4 პური

2) 5 პური

3) 9 პური

4) 18 პური

27) სასწორის ერთ თევშზე 20 კილოგრამი კარტოფილი იდო, მეორე თევშზე – უფრო ნაკლები. პირველ თევშზე ორკილოგრამიანი გირა დაამატეს, ექვსი კილოგრამი კარტოფილი კი მეორე თევშზე გადაიტანეს. ამის შემდეგ სასწორი გაწონასწორდა. რამდენი კილოგრამი კარტოფილი ყოფილა მეორე თევშზე თავდაპირველად?

1) 12 კილოგრამი

2) 10 კილოგრამი

3) 8 კილოგრამი

4) 6 კილოგრამი

28) მიხოს აცვია შავი შარვალი, ირაკლის – თეთრი, სანდროს – ლურჯი. მათ ასევე აცვიათ შავი, თეთრი და ლურჯი მაისურები, ოღონდ ისე, რომ არცერთის შარვლის ფერი არ ემთხვევა მაისურის ფერს. თუ მიხო მაისურს გაუცვლის სანდროს, მაშინ მას ეცმევა ერთი და იმავე ფერის შარვალი და მაისური. რა ფერის მაისური აცვია ირაკლის?

1) შავი

2) თეთრი

3) ლურჯი

4) ამის გაგება შეუძლებელია

29) მარიამს 25 ნახატი ჰქონდა გასაფერადებელი. პირველ დღეს 7 ნახატი გააფერადა. მეორე დღეს მან კიდევ რამდენიმე ნახატი გააფერადა. ამ ორი დღის განმავლობაში მარიამის მიერ გაფერადებული ნახატების რაოდენობა ერთით მეტი აღმოჩნდა გაუფერადებელი ნახატების რაოდენობაზე. რამდენი ნახატი გააფერადა მარიამმა მეორე დღეს?

1) თორმეტი

2) ცამეტი

3) ექვსი

4) ხუთი

30) ნანამ, მაიამ, ირაკლიმ და ვახომ ჩაიფიქრეს ოთხი სხვადასხვა რიცხვი. თუ მათ მიერ ჩაფიქრებულ რიცხვებს დავაღაგებთ ზრდადობით, მაშინ ნანას მიერ ჩაფიქრებული რიცხვი აღმოჩნდება მარცხნიდან მესამე. მარცხნიდან მერამდენე აღმოჩნდება ნანას მიერ ჩაფიქრებული რიცხვი, თუ ამ რიცხვებს დავაღაგებთ კლებადობით?

1) პირველი

2) მეორე

3) მესამე

4) მეოთხე

31) ირინას, ქეთის და ნინოს აქვთ წითელი, ყვითელი და მწვანე კაბები. ამასთან, თითოეულ მათგანს თითო კაბა აქვს. ცნობილია, რომ ირინას არ აქვს ყვითელი კაბა, ნინოს არ აქვს წითელი კაბა, ქეთის კი არც მწვანე კაბა აქვს და არც წითელი. რა ფერის კაბა აქვს ირინას?

1) წითელი

2) ყვითელი

3) მწვანე

4) ამის გაგება შეუძლებელია

32) ორ ძმას სხვადასხვა რაოდენობის თხილი აქვს. უმცროსს უფრო ნაკლები, ვიდრე უფროსს. თუ მათი თხილების რაოდენობებს ერთმანეთზე გადავამრავლებთ, მივიღებთ თექვსმეტს. რამდენი თხილი აქვს უფროს ძმას, თუ ცნობილია, რომ თითოეულს ლუწი რაოდენობის თხილი აქვს?

1) ორი

2) ოთხი

3) ექვსი

4) რვა